

# გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის

ქუთაისი-ხონი-სამტრედიის კმ 35+000 – კმ 40+000

საავტომობილო გზის  
სარეაბილიტაციო სამუშაოები

თბილისი

2014 წლის

# ნაწილი I: პროექტთან და ობიექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა	საქართველო			
პროექტის სახელწოდება	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ხონი-სამტრედიის კმ 35+000 – კმ 40+000 საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები			
პროექტის მაშტაბი და ღონისძიებები	<p>გზის სავალ ნაწილზე ასფალტის საფარი შენარჩუნებულია მთელ ფართზე, სისქით 12-20სმ. და დაზიანებულია.</p> <p>გზის სავალ ნაწილზე გაჩენილია მცირე ზომის ორმოები, გრძივი, განივი და ხშირი ბადისებური ბზარები.</p> <p>ქვესაგები ხრეშოვანი მასალის სისქე 30-35სმ-ია.</p> <p>გზის სავალ ნაწილზე დეფორმაციები და ჯდენები არ აღინიშნება.</p> <p>გზის კონსტრუქცია მოწყობილია დელუვიურ რბილ და ძნელპლასტიკურ თიხნარებზე, კენჭების ჩანართებით 15%-მდე.</p> <p>გზას ორივე მხარეს მიუყვება წყალგამტარი ღრმა არხები, რომელთა ნაწილი დაზიანებულია, ხოლო ნაწილი გასასუფთავებელია.</p> <p>სარეაბილიტაციო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 5.947 კმ-ს.</p> <p>საპროექტო გზის დერძი ემთხვევა არსებული გზის დერძს. გზის არსებული განთვისების ზოლი შენარჩუნებულია.</p> <p>გზაზე მოწყობილი საგზაო ნიშნები და შემოფარგულა ამორტიზებულია და საჭიროებს შეცვლას და დამატებას. ასევე შესაკეთებელი და მოსაწყობია მიერთებები და ეზოში შესასვლელები, არსებული ავტობუსის განერგებები, ავტოპავილიონები, ქვეითად მოსიარულეთა ბილიკები</p> <p>არსებული გზის მდგომარეობის შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე პროექტირებისას მიღებულია შემდეგი ძირითადი პარამეტრები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მიწის ვაკის სიგანე - 9.0 – 18.0 მ</li> <li>● სავალი ნაწილის სიგანე - 7.0 – 18.0 მ</li> <li>● გვერდულების სიგანე - 1.0 – 1.5 მ</li> <li>● სავალი ნაწილის განივი ქანობი - 2.0 %</li> <li>● მაქსიმალური გრძივი ქანობი - 14 %</li> <li>● ჰორიზონტალური მრუდის მინიმალური რადიუსი - 100 მ</li> </ul>			
საორგანიზაციო საკითხები (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	მსოფლიო ბანკი (პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი) <b>იოსებ მელითაური</b>	პროექტის მენეჯმენტი <b>გიორგი წერეთელი</b> (სგდ)	ადგილობრივი მონაწილე მხარე და/ან მიმღები <b>სამტრედიის მუნიციპალიტეტი</b>	
განხორციელება (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	მსოფლიო ბანკი გარემოს დაცვის ზედამხედველი <b>დარეჯან კაპანაძე</b>	ადგილობრივი ზედამხედველი შპს “გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია” მ. ჯიშიაშვილი	ადგილობრივი ინსპექცია	კონტრაქტორი  სს “არქეოპოლისი” შპს “ინდიკო”
<b>ობიექტის აღწერა</b>				

ობიექტის დასახელება	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ხონი-სამტრედიის კმ 35+000 – კმ 40+000 საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საპროექტო გზა მდებარეობს იმერეთის მხარეში, კერძოდ სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე.
ობიექტის ადგილმდებარეობა	<p>ქუთაისი-ხონი-სამტრედიის საავტომობილო გზის კმ 35+000 – კმ 40+000 მონაკვეთი იწყება ამავე გზის კმ 34-ის ბოდიდან, რომელსაც შესაბამება პკ 0+00 და მთავრდება კმ 40-ის ბოდიან, პკ 59+47-ზე. სარეაბილიტაციო მონაკვეთის სიგრძეა 5.947 კმ. სარეაბილიტაციო მონაკვეთი გაივლის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს: კულაშს, ნინოშვილს და პკ 49+50-დან შედის ქალაქ სამტრედიაში.</p> <p>საპროექტო გზა მდებარეობს იმერეთის რეგიონში, კერძოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.</p> <p>არსებული გზა გადის ვაკე რელიეფზე, გზის გასწვრივ მდებარე სოფლები მჭიდროდაა დასახლებული. არსებული გზის მიწის ვაკის სივანეები ცვალებადია და იცვლება 9.0-18.0 მეტრის ფარგლებში. საავალი ნაწილის სივანეები ასევე ცვალებადია 6.0 - 18.0 მეტრის ფარგლებში, გვერდულების სივანე 1.0-1.5 მ-ია.</p> <p>სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთი კმ 35+000 – კმ 40+000 გადის ვაკე რელიეფზე, მდინარე რიონისა და გუბისწყლის ძველ ტერასაზე, რომელიც აგებულია კაჭარ-კეჩნარით თიხნარის შემავსებლით და ზედაპირულად დაფარულია თიხნარებით რბილ და ძნელპლასტიკური კონსისტენციის, კენჭების ჩანართებით 15%-მდე.</p>
მიწის მესაკუთრე	სამტრედიის მუნიციპალიტეტი
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური ჰიდროგრაფიული და სოციო ეკონომიკური გარემოს აღწერა	<p><b>მდებარეობა:</b> ქუთაისი-ხონი-სამტრედიის საავტომობილო გზის კმ 35+000 – კმ 40+000 მონაკვეთი იწყება ამავე გზის კმ 34-ის ბოდიდან და მთავრდება კმ 40-ის ბოდიან. სარეაბილიტაციო მონაკვეთი გაივლის სოფლებს: კულაშს, ნინოშვილი და პკ 49+50-დან შედის ქალაქ სამტრედიაში.</p> <p><b>ჰაერ:</b> საგზაო მოძრაობის დაბალი ინტენსიობისა და ინდუსტრიული ობიექტების არარსებობის გამო ჰაერის ხარისხის პარამეტრები მაღალია.</p> <p><b>წყალი და ნიადაგი:</b> ოფიციალური მონაცემები დაბინძურების შესახებ არ არსებობს.</p> <p><b>ფლორა:</b> სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება არსებული გზის ფართობზე არსებული ელემენტების შეცვლის გარეშე (სწორი ხაზები, მრუდები, სივანე და ა.შ.). მხოლოდ იმ მონაკვეთებში, სადაც საჭიროა კოუვეტების რეაბილიტაცია ან ხელახალი აშენება, შესაძლოა იყოს უმნიშვნელო რაოდენობის მცენარეები ბუჩქებისა და პატარა ხეების სახით, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს მიმდებარე ტყის ელემენტებად. დაზიანებული ტერიტორიის ფარგლებში არ არის აღმოჩენილი რაიმე იშვიათი სახეობა.</p> <p><b>ფაუნა:</b> მშენებლობის განმავლობაში ფაუნაზე ზემოქმედება უცვლელი დარჩება, რაკი სამუშაოები ჩატარდება არსებულ გზაზე. გზას კვეთს რამდენიმე მდინარე. ამ მონაკვეთებში სამუშაოები შემოსისაზღვრება ხიდის ბურჯების რეაბილიტაციით, ნარჩენების გატანით ან სხვა სახის ნარჩენებით, რომლებიც წყლის დინებას უშლის ხელს. ამ საქმიანობების შედეგი იქნება პოზიტიური გავლენა არსებულ ფაუნაზე.</p> <p><b>ხმაურ:</b> ინდუსტრიული ობიექტების უქონლობისა და საგზაო მოძრაობის დაბალი ინტენსიობის გამო მიმდინარე ხმაურის დონე დაბალია. სამშენებლო სამუშაოები შეზღუდავს მხოლოდ იმ ადამიანების მოძრაობას რომლებიც ცხოვრობენ გზის გასწვრივ და აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ რეაბილიტაციის ფაზაზე.</p>
მასალების მოპოვების ადგილმდებარეობა და მანძილი, განსაკუთრებით ინტერული მასალების, წყლის, ქვების	იხილეთ დანართი 4 კარიერების ნებართვები
<b>კანონმდებლობა</b>	
საპროექტო ღონისძიებებთან დაკავშირებული ნაციონალური და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები	<p>პროექტი ექვემდებარება მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკას OP/BP 4.01 – გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ და მისი პრინციპების თანახმად კლასიფიცირებულია როგორც გარემოზე ზემოქმედების “ბ” კატეგორიის ქმედება. გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე გეგმა მომზადებულია OP/BP 4.01-ით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობით გზების რეაბილიტაციის პროექტისთვის არ არის მოთხოვნილი მისი გარემოზე ზემოქმედების განხილვა, დამტკიცება ან ნებართვის გაცემა. თუმცა, ეროვნული რეგულირების სისტემით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კონტრაქტორი უნდა იყოს ლიცენზირებული;</li> <li>• სამშენებლო მასალების მომწოდებელი უნდა იყოს ლიცენზირებული;</li> <li>• თუ კონტრაქტორი მოინდომებს გახსნას საკუთარი კარიერი, უნდა აიღოს შესაბამისი ლიცენზია;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• თუ კონტრაქტორს სურს გახსნას აღსფალტის ან ცემენტის საკუთარი ქარხანა, მან უნდა მიიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელშიც მოცემული იქნება დაბინძურების კონცენტრაციის ზედა ზღვარი;</li> <li>• სამშენებლო ნარჩენები განთავსებული უნდა იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წერილობით შეთანხმებულ წინასწარ შერჩეულ ადგილზე.</li> </ul>
<b>საჯარო შეხვედრები</b>	
სად და როდის ჩატარდა საჯარო შეხვედრა	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის პრინციპების განმსაზღვრელი ჩარჩო დოკუმენტი მეორადი და ადგილობრივი გზების III პროექტისათვის განთავსდა საქართველოს სააგრომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ მხარეთათვის ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრა 2014 წლის 11 აპრილს. ასევე მოხდა წინამდებარე დოკუმენტის ვებ-გვერდზე განთავსება და მისი ნაბეჭდი ვერსიის მიწოდება სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის.
<b>დანართები</b>	
	<p>სამშენებლო უბნის რუკა და სურათები;</p> <p>საჯარო განხილვის ოქმები;</p> <p>ნარჩენების განთავსების ნებართვა;</p> <p>კარიერების ლიცენზიები;</p> <p>ასფალტის ქარხნის ოპერირების ლიცენზია;</p>

ნაწილი II: დამცავი პოლიტიკის დოკუმენტების სკრინინგი და მათი ამოქმედების პირობები

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სკრინინგი უსაფრთხოების პოლიტიკის ასამოქმედებლად			
	სამუშაოები/საკითხი	სტატუსი	გამშვები მექანიზმი
მოიცავს თუ არა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოები შემდეგს?	ა. გზების რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> ღიახ <input type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „ა“
	ბ. ახალი მცირემაშტაბიანი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა	<input type="checkbox"/> ღიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „ა“
	გ. გავლენა ზედაპირულ სადრენაო სისტემაზე	<input checked="" type="checkbox"/> ღიახ <input type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „ბ“
	დ. ისტორიული ნაგებობა(ები) და ოლქები	<input type="checkbox"/> ღიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „გ“
	ე. მიწების შესყიდვა <sup>1</sup>	<input type="checkbox"/> ღიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „დ“
	ვ. სახიფათო და ტოქსიკური მასალები <sup>2</sup>	<input type="checkbox"/> ღიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „ე“
	ზ. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> ღიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „ვ“
	თ. ასაფეთქებელი ნაგებობების არსებობის რისკი	<input type="checkbox"/> ღიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „ზ“
	ი. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> ღიახ <input type="checkbox"/> არა	თუ „ღიახ“ იხ. ნაწილი „თ“

**ნაწილი III: შემამსუბუქებელი ღონისძიებები**

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
<p><b>0. ზოგადი პირობები</b></p>	<p><b>შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება</b></p>	<p>(ა) ადგილობრივი მშენებლობის და გარემოს დაცვის ინსპექციისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ მოსალოდნელი სამუშაოების შესახებ.</p> <p>(ბ) საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება სამუშაოების შესახებ მედიის საშუალებით და/ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ობიექტებზე (მათ შორის სამუშაოების ობიექტი) სათანადო შეტყობინების გაგზავნის გზით</p> <p>(გ) გზის მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა იურიდიული ნებართვა უნდა იქნას მოპოვებული</p> <p>(დ) კონტრაქტორი ფორმალურად უნდა იყოს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რაც შეამცირებს ზემოქმედებას ახლომდებარე მოსახლეობაზე და გარემოზე.</p> <p>(ე) მუშათა პირადი უსაფრთხოების ადჟურეილობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ყოველთვის უნდა ატარონ ჩაფხუტები, საჭიროებისამებრ ნიღბები და უსაფრთხოების სათვალე, უსაფრთხო ფეხსაცმელები)</p> <p>(ვ) სამშენებლო მოედანზე განთავსებული შესაბამისი მანქანები შეასვენებს მუშას ძირითადი წესებისა და კანონების შესახებ</p>
<p><b>ა. რეაბილიტაციისა და მშენებლობის ზოგადი ღონისძიებები</b></p>	<p><b>ჰაერის ხარისხი</b></p>	<p>(ა) მიწის სამუშაოების დროს მტვრის კონტროლი ხორციელდება მაგ. ნიადაგის მორწყვით ან დატენიანებით.</p> <p>(ბ) ნანგრევები, ამოღებული მიწა და აგრეგატები განთავსდება კონტროლირებად ტერიტორიაზე და პერიოდულად მორწყება, რათა შემცირდეს მტვრის წარმოშობა.</p> <p>(გ) პნევმატური ბურღვის, ან საფარის მტვრევის და გზის საფუძვლების დაშლის სამუშაოების დროს წარმოქმნილი მტვერი უნდა შემცირდეს მორწყვის საშუალებით და/ან ობიექტზე უნდა დამონტაჟდეს მტვრის საკონტროლო მოწყობილობები.</p> <p>(დ) მიმდებარე ტერიტორიაზე ( ტროტუარი, გზა) არ განთავსდება სამშენებლო ნარჩენები და მიწა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მტვრის წარმოქმნის რისკები.</p> <p>(ე) სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის დიად დაწვა არ დაიშვება.</p> <p>(ვ) მანქანა-დანადგარები იქნება შესაბამის ფორმაში და მოედანზე არ იქნება განთავსებული უქმად მდგომი სამშენებლო მანქანები</p>
	<p><b>ხმაური</b></p>	<p>(ა) ხმაური შეიზღუდება ნებართვით დადგენილ გარკვეული დროებში.</p> <p>(ბ) გენერატორების, ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის თავსახურები მუშაობის პერიოდში დაკეტილი უნდა იყოს და დანადგარები განთავსებული უნდა იყოს დასახლებული პუნქტებისაგან რაც შეიძლება შორს.</p>
	<p><b>წყლის ხარისხი</b></p>	<p>(ა) ობიექტზე გატარდება ეროზიისა და სედიმენტების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორცაა მაგალითად: თივის ზეინები და/ან შლამსაჭერი, რათა თავიდან იქნეს აუცილებელი ნალექის მოედანზე გავრცელება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემების, დელეების და მდინარეების დაბინძურება.</p>
	<p><b>სამშენებლო ნარჩენების მართვა</b></p>	<p>(ა) ნარჩენების მოსაგროვებელი და გადასაყრელი ადგილები განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ნარჩენების ტიპისათვის, რომელიც წარმოიშვება მიწის სამუშაოების, დემონტაჟისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად.</p>

		<p>(ბ) მშენებლობის და დემონტაჟის შედაგად დარჩენილი მინერალური ნაგავი/ნარჩენები უნდა განცალკევდეს საერთო, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნაგავისაგან და ადგილზე უნდა დახარისხდეს და შეიქმნას შესაბამისი შემნახველი კონტეინერები.</p> <p>(გ) სამშენებლო ნარჩენებს მოაგროვებს და გაიტანს ლიცენზირებული კომპანია</p> <p>(დ) სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე</p> <p>(ე) შესაძლოა მშენებელმა ხელმოწერა გამოიყენოს და რეციკლირება გაუკეთოს ვარგის მასალებს (გარდა ასბესტის შემცველი მასალებისა)</p>
<b>ბ. გავლენა ზედაპირულ სადრენაჟო სისტემაზე</b>	<b>წყლის ხარისხი</b>	<p>(ა) ადგილი არ უნდა ჰქონდეს გრუნტის წყლების არაკონტროლირებად ამოღებას, არც ტექნიკური წყლების, ცემენტის ხსნარის ან სხვა დაბინძურებული წყლების არაკონტროლირებად დაცლას მიწაზე ან ახლომდებარე მდინარეში ან ნაკადულში;</p> <p>(ბ) უნდა მოეწიოს სათანადო კანალიზაციის სისტემა ისე, რომ სამშენებლო სამუშაოებმა შლამით არ გაჭედოს, დააბინძუროს ან დაბლოკოს ან სხვაგვარად უარყოფითი ზეგავლენა არ იქონიოს ბუნებრივ ნაკადულზე/დედუქებზე, მდინარეებზე, წყალსატევებსა და ტბებზე.</p> <p>(გ) უნდა გატარდეს პრევენციული ღონისძიებები საწვავის, საპოხი მასალების და სხვა ტოქსიკური და მავნე ნივთიერებების დაღვრის საწინააღმდეგოდ.</p> <p>(დ) სამშენებლო მანქანები და დანადგარები გაირეცხება მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, სადაც წყლის გადინება არ დააბინძურებს წყლის შექმრების/რეზერვუარის ზედაპირს.</p>
<b>გ. ისტორიული ძეგლი(ები)</b>	<b>კულტურული მემკვიდრეობა</b>	<p>(ა) იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა განხორციელდება ისტორიული ნაგებობების სიახლოვეს, ან ისტორიულ უბანში, უნდა მოხდეს შეტყობინება და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებიდან თანხმობის/ნებართვების აღება. ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადგილობრივი და ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>(ბ) ექსკავირების ან მშენებლობის დროს უძველესი ხანის კულტურული ნაშთების ან სხვა შესაძლო არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია ამ ფაქტის დაფიქსირება და რეგისტრირება, პასუხისმგებელი ოფიციალური უწყებების საქმის კურსში ჩაყენება და სამუშაოების შეჩერება ან შეცვლა წარმოშობილი გარემოების გათვალისწინებით.</p>
<b>დ. მიწის შესყიდვა</b>	<b>მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი</b>	<p>(ა) თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ საჭირო გახდა, ან ადგილი ექნება მიწის კანონიერი თუ უკანონო მესაკუთრის მხრიდან შემოსავლის გაუთვალისწინებელ დანაკარგს, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბანკის პროგრამების ჯგუფის ხელმძღვანელს.</p> <p>(ბ) უნდა განხორციელდეს დამტკიცებული მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი (თუკი ეს მოთხოვნილია პროექტით)</p>
<b>ე. ტოქსიკური მასალები</b>	<b>ასბესტის მართვა</b>	<p>(ა) სამშენებლო მოედანზე ასბესტის არსებობის შემთხვევაში, იგი მკაფიოდ უნდა მოინიშნოს როგორც სახიფათო მასალა.</p> <p>(ბ) შესაძლებლობის შემთხვევაში, ასბესტი სათანადო ნორმების დაცვით უნდა განთავსდეს კონტეინერებში და დაილუქოს მავნე ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირების მიზნით.</p> <p>(გ) გატანამდე (თუ გატანა აუცილებელია) ასბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი ნივთიერებით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ჰაერში ასბესტის მტვრის ნაწილაკების მოხვედრა.</p> <p>(დ) ასბესტის მართვა და გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტების მიერ.</p> <p>(ე) ასბესტის დროებით შენახვის შემთხვევაში, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულ კონტეინერებში და სათანადოდ მოინიშნოს. სახიფათო ნარჩენის გატანა უნდა მოხდეს შესაბამისი ლიცენზირებული კომპანიის მიერ.</p> <p>(ვ) არ შეიძლება ერთხელ გატანილი ასბესტის ხელმოწერა გამოყენება</p>

	ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა	<p>(ა) სამშენებლო უბანზე სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და გამოყენების შესახებ.</p> <p>(ბ) სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები დაღვრის თავიდან აცილების მიზნით უნდა მოთავსდეს პერმეტულ კონტეინერებში.</p> <p>(გ) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ლიცენზირებული გადაამტანების მიერ. ნარჩენები უნდა განთავსდეს ლიცენზირებულ ადგილას.</p> <p>(დ) არ მოხდება ტოქსიკური შემადგენლობის მქონე საღებავების ან გამსხნელების და ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.</p>
გ. ტყეებზე, ჭაობიან და/ ან დაცულ ტერიტორიებზე ზეგავლენა	ეკოსისტემის დაცვა	<p>(ა) არ უნდა მოხდეს იდენტიფიცირებული ბუნებრივი ჰაბიტატების, ჭაობიანი ადგილებისა და დაცული ტერიტორიების დაზიანება ან გამოყენება სამუშაოების მიმდინარეობის სიახლოვეს. მთელს პერსონალს მკაცრად ეკრძალება ნადირობა, სურსათის მოპოვება და გარემოსთვის ზიანის მომტანი სხვა ქმედებები.</p> <p>(ბ) უნდა მოხდეს სამშენებლო ღონისძიებების სიახლოვეს არსებული დიდი ზომის ხეების აღრიცხვა, მონიშვნა და შემოღობვა, მშენებლობის პერიოდში ხეებისა და მათი ფესვთა სისტემის მექანიკური ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით.</p> <p>(გ) მიმდებარე ჭაობიანი ადგილები და ნაკადულები დაცული უნდა იყოს სამშენებლო უბნიდან სედიმენტების მოხვედრისა და ეროზიისაგან, რისთვისაც გამოყენებული იქნება თივის ზვინები და შლამდამჭერი მოწყობილობები.</p> <p>(დ) არ დაიშვება მიმდებარე ტერიტორიაზე და განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიაზე არალიცენზირებული კარიერების, ქვის სამტეხლოების ან ნაგავსაყრელების გამოყენება.</p>
ზ. ასაფეთქებელი ნაგებობების არსებობის რისკი	ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები	<p>(ა) ექსკავაციის სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სამშენებლო უბანი შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმებული და გასუფთავებულია ასაფეთქებელი ნაგებობებისაგან</p>
თ. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო ღონისძიებების პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეებზე	<p>(ბ) ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო უბნის სათანადო უსაფრთხოება და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და მოძრაობის გადართვა: მშენებლობის ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ხილვადობა და საზოგადოების გაფრთხილება შესაძლო რისკების შესახებ;</li> <li>▪ სატრანსპორტო მოძრაობის სისტემა და თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ობიექტთან მისვლისა და სამშენებლო უბნის სიახლოვეს დატვირთული მოძრაობის საკითხებზე. ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გასასვლელებისა და გზაჯვარედინების უზრუნველყოფა იმ ადგილებში, სადაც მშენებლობა აფერხებს მოძრაობას;</li> <li>▪ სამუშაო საათების რეგულირება ადგილობრივი მოძრაობის სქემასთან, მაგ: პიკის საათებში ან შინაური საქონლის მოძრაობის დროს ძირითადი ტრანსპორტის გადაადგილების თავიდან აცილება.</li> <li>▪ საჭიროების შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის აქტიური რეგულირება ობიექტზე გაწვრთნილი პერსონალის მიერ საზოგადოების უსაფრთხო გადაადგილებისათვის.</li> <li>▪ მშენებლობის პერიოდში ახლომდებარე სამუშაო დაწესებულებებთან, მალაზიებთან და საცხოვრებლებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისასვლელების უზრუნველყოფა</li> </ul>



ნაწილი IV: მონიტორინგის ბეგმა

მშენებლობის ფაზა

საქმიანობა	რა? (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	სად? (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრიზე მონიტორინგი)	როდის? (განისაზღვრება სისშირე/ან ხანგრძლივობა)	რატომ? (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ)	ვინ? (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე)
სამშენებლო მასალებით მომარაგება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალური არხებით ლიცენზირებული მომწოდებლებისგან	მასალების მომწოდებლის ოფისში, საწვობ ბაზაზე, მდინარის პირას, კარიერზე	საბუთების შემოწმება;  ხარისხის შემოწმება	მასალებით მომარაგების ხელშეკრულებათა გაფორმებისას	ნაგებობის ტექნიკური გამართულობისა და გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოების უზუნველსაყოფად	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება  სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება	- სატვირთო მანქანების და საგზაო სამშენებლო ტექნიკის გამართულობა;  - ძარის სრულფასოვნება და ტვირთის დაცულობა საფარი მასალით;  -ტექნიკის გადაადგილება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით	საშენი მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტები	სამშენებლო ობიექტთან მიმდებარე გზების ინსპექტირება გადაადგილების მარშრუტების მიმართულებებით	წინასწარ განუცხადებელი შემოწმება სამუშაო საათებში	- მტკვრით და მყარი მასალით ჰაერისა და გზების დაბინძურების თავიდან ასარიდებლად;  - საავტომობილო მოძრაობის შეფერხების შესაზღუდად	სგდ;  საპატრულო პოლიცია
სამშენებლო ტექნიკის ოპერირება ობიექტზე	სამშენებლო ტექნიკის გამართული მუშაობა: - გამონაბოლქვის სიჭარბე - საწვავ-საპოხის უონვა - სამუშაო საათების დაცულობა	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	სამუშაო საათებში და მათ გარეშე	- ტექნიკის ოპერირებისაგან ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად;  - მოსახლეობის ხმაურითა და ვიბრაციით შეწუხების შესაზღუდად	სგდ

<p>სამშენებლო ტექნიკის მომსახურება</p>	<p>- ავტომობილების და ტექნიკის რეცხვა სამშენებლო ობიექტის გარეთ ან მდინარიდან მაქსიმალურად მოცილებულ ადგილას;</p> <p>- ტექნიკის გამართვა საწვავ-საპოხით სამშენებლო ობიექტს გარეთ ან ობიექტზე მოწყობილ საგანგებო პუნქტში;</p> <p>- ტექნიკის მომსახურების პუნქტის ტექნიკური გამართულობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მყარი გაუმტარი იატაკი ან ადსორბენტის (ქვიშა, წერილი ხრეში, მემბრანა) საფარი</li> <li>• საკმარის ფართობი და გაუმტარი ბარიერები საწვავის კონტეინერთა გარშემო</li> <li>• საბაზისო ცეცხლმაქრი საშუალებები</li> <li>• სადექარები მანქანების სამრეცხაოსთან</li> </ul>	<p>სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)</p>	<p>საქმიანობის ინსპექტირება</p>	<p>ტექნიკის ოპერირების პერიოდი</p>	<p>- ტექნიკის მომსახურებისაგან ნადავისა და წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან არიდება;</p> <p>- ააღებადი ნივთიერებისაგან ხაძრის გაჩენის შემთხვევაში მისი დროული ლოკალიზების უზრუნველსაყოფად და მოსალოდნელი ზარალის შესამცირებლად.</p>	<p>სგდ</p>
<p>ინერტული მასალების მოპოვება</p>	<p>- ინერტული მასალების შექმნა არსებული მოპოვებლებისგან თუკი ამის საშუალება არსებობს;</p> <p>- მშენებელი კონტრაქტორის მიერ ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიის მოპოვება და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>- კარიერების ტერასული დამუშავება, დამუშავებულ უბნებზე ნარჩენი მასალის უკუჩაყრა და ლადშაფტთან პარმონიზაცია;</p>	<p>ინერტული მასალის კარიერები</p>	<p>საბუთების შემოწმება</p> <p>საქმიანობის ინსპექტირება</p>	<p>მასალათა მოპოვების პერიოდში</p>	<p>- ფერდობების ეროზიის, ეკოსისტემისა და ლანდშაფტის დაზიანების შესაზღვრად;</p> <p>- მდინარეთა ნაპირების ეროზიის, წყლის ნაკადის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებისა და წყლის ეკოსისტემებზე ზემოქმედების შესაზღვრად;</p>	<p>სგდ;</p> <p>ბუნებრივი რესურსების სააგენტო</p>

	<p>- ხრეშის ამოღება წყლის ნაკადის გარეთ, ნაკადისაგან გამიჯნველი ყრილების მოწყობით და ნაკადში სამშენებლო ტექნიკის შეუყვანლად;</p> <p>-კარიერების მონიშვნა გამაფრთხილებელი ნიშნებით</p>				-პირუტყვასა და მოსახლეობის დაცვა დაზიანებისგან.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>- ინერტული და სახიფათო სამშენებლო ნარჩენების განცალკევებით დროებითი დასაწყობება განსაზღვრულ ადგილებში;</p> <p>- ნარჩენების დროული გატანა წინასწარ წერილობით ნებადართულ ადგილებში;</p> <p>- სახიფათო ნარჩენების ჩაბარება მათი უვნებელყოფისა და განთავსების ლიცენზიის მქონე კომპანიებისთვის</p>	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს);  ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილები	საბუთების შემოწმება  ვიზუალური დათვალიერება	მშენებლობის მთელ პერიოდში	გარემოს დაცვა დანაგვიანებისგან	სგდ;  მუნიციპალიტეტი
საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა	<p>- სამშენებლო ობიექტზე და ბაზაზე (თუკი იარსებებს) საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსება;</p> <p>-შეთანხმება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული გატანის თაობაზე</p>	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური დაკვირვება	მშენებლობის მთელ პერიოდში	საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურების აღსაკვეთად	სგდ;  ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

<p>თხევადი ნარჩენების წარმოქმნა</p>	<p>- სამშენებლო ობიექტზე და ბაზაზე (თუკი იარსებებს) სანიტარულ ნორმებთან შესატყვისი ტუალეტის მოწყობა და მომსახურება;</p> <p>- სამშენებლო ობიექტიდან წვიმის წყლის შეგროვებისა და გადინებისთვის სადრენაჟო სისტემის მოწყობა და პერიოდული გაწმენდა;</p> <p>- საყოფაცხოვრებოდ და ტექნიკის სარეცხად გამოყენებული წყლის სადექარი გუბურის მოწყობა</p>	<p>სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს)</p>	<p>ვიზუალური დაგვირგვინა</p>	<p>მშენებლობის მთელ პერიოდში</p> <p>გახშირებული რეჟიმით ძლიერი ნალექიანობის შემთხვევაში</p>	<p>- სამშენებლო ობიექტის დატბორვისა და ამით საკმინობის გაძნელების აღსაკვეთად;</p> <p>- ზედაპირული და გრუნტის წყლის დაბინძურების შესამცირებლად</p>	<p>სგდ</p>
<p>ასფალტ-ბეტონის ქარხნის ოპერირება</p>	<p>- მშენებელი კონტრაქტორის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება და მისი პირობების განუხრელი დაცვა;</p> <p>- ქარხნის დასამონტაჟებლად იმგვარი ადგილის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მინიმალურ შეწყუხებას ხმაურით, მტვრითა და გამონაბოლქვით;</p> <p>- ქარხნიდან ჩამდინარე წყლის სადექარი გუბურის მოწყობა</p>	<p>ქარხნის ტერიტორია</p>	<p>საბუთების შემოწმება</p> <p>საკმინობის ინსპექტირება</p>	<p>ქარხნის დამონტაჟებისა და მისი ოპერირების მთელ პერიოდში</p>	<p>- სამშენებლო ობიექტის სიახლოვეს მოსახლეობის შეწყუხების შესაზღუდად;</p> <p>- ატმოსფერული ჰაერისა და ზედაპირული წყლის დაბინძურების შესამცირებლად</p>	<p>სგდ;</p> <p>გერემოს დაცვის სააგენტო</p>
<p>შრომის უსაფრთხოება</p>	<p>- მშენებელთა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით და პირადი დამცავი საშუალებებით;</p> <p>- სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციის და პირადი უსაფრთხოების საშუალებების გამოყენების წესების ზუსტი დაცვა</p>	<p>სამშენებლო ობიექტი</p>	<p>საკმინობის ინსპექტირება</p>	<p>სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში</p>	<p>მშენებელთა ტრავმატიზმისა და უბედურ შემთხვევათა ალბათობის შესამცირებლად</p>	<p>სგდ</p>

## ექსპლუატაციის ფაზა

საქმიანობა	რა (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	სად (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განისაზღვრება სისშირე/ან ხანგრძლივობა?)	რატომ (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
გზის სავალი ნაწილისა და მისი გვერდულების დასუფთავება	მგზავრებისა და მძღოლის მიერ დატოვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება და გატანა;  გზაზე დაღუპული ცხოველთა ნარჩენების დროული გატანა	გზის მიმდებარე ტერიტორია და კიუვეტები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად;  გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
სადრენაჟო კიუვეტების გამტარიანობის შენარჩუნება	კიუვეტების რეგულარული გასუფთავება დანალექისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან	გზის გასწვრივ არსებული სადრენაჟო კიუვეტები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	დრენაჟის სისტემის გამართულობის უზრუნველსაყოფად გზის დატბორვისა და წყლიმიერი დაზიანების თავიდან ასარიდებლად	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
ავარიული დაღვრებისას ადგილის ლოკალიზება და დაბინძურებული ადგილის დასუფთავება	ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღვრილი ან გაფრქვეული თხევადი ან ფხვიერი ტვირთების ნარჩენების დროული შეგროვება, გაუვნებელყოფა და გატანა	გზაზე და მის სიახლოვეს	ინსპექტირება	ავტოსაგზაო შემთხვევებისას, საჭიროების მიხედვით	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	საპატრულო პოლიცია;  ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
გზის სარემონტო სამუშაოებისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვა	წარმოქმნილი ნარჩენების დროული გატანა ნაგავსაყრელზე	გზის მთელ მონაკვეთზე	ინსპექტირება	გვერდითი სარემონტო სამუშაოების დასრულებისას	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი



დანართი 2: საჯარო განხილვის ოქმი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქუთაისი-ხონი-სამტრედიის კმ 35+000 – კმ 40+000 მონაკვეთების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოთა განხორციელებისას გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების საჯარო განხილვის

ოქმი

2014 წლის 03 ოქტომბერი ხონის მუციპალიტეტის გამგეობაში ჩატარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ხონი-სამტრედიის კმ 35+000 – კმ 40+000 მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის მიზანი იყო დადგენილი სამუშაოთა უშუალო ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ამ სამუშაოთა არსის, ვადების, აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი სამუშაოთა მიმდინარეობისაგან მოსახლეობისთვის დროებითი უხერხულობის გაჩენის შესაძლებლობის და სამუშაოების მსვლელობასთან დაკავშირებული არასასურველი მოვლენების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვისას დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაესვა კითხვები და გამოეთქვა კრიტიკული მოსაზრებები გეგმის საბოლოო სახით ჩამოყალიბების დროს გათვალისწინების მიზნით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს წარმოადგენდნენ განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს, გარემოს დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლუიზა ბუბაშვილი და საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის კონსულტანტი მაია ვაშაკიძე. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ხონის მოსახლეობის წარმომადგენლები. (იხ. დანართი)

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტების გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

დამსწრეებს გააცნეს საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს, გარემოს დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლუიზა ბუბაშვილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ. შეხვედრა გახსნა ლუიზა ბუბაშვილმა და დამსწრეთ მოახსენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ გზების მშენებლობის შესახებ. განხილული იქნა ასევე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის პრეზენტაცია გააკეთა მაია ვაშაკიძემ. განხილულ იქნა პროექტთან დაკავშირებული სამუშაოები, მათი შესაძლო ზემოქმედება გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე. განხილული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას იძლევა მისაღებ მინიმუმადე იქნას დაყვანილი გარემოზე ყოველგვარი მავნე ზემოქმედება გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზაში.

ირაკლი ლითანიშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები:

ლუიზა ბუბაშვილი

მაია ვაშაკიძე







დანართი 3: შეთანხმება ნარჩენების განთავსების შესახებ

ს ა მ ტ რ ე დ ი ა  
სამტრედიის  
მუნიციპალიტეტის  
გ ა მ გ ე მ ო ბ ა



GEORGIA  
BOARD  
OF SAMTREDIA  
MUNICIPALITY

მკ.სამტრედია რესპუბლიკის ქ.№6 შპ- (8211) 2-27-77; (822)56-08-30; ფაქსი (822)56-97-96 3900 Samtredia respublik str.№6

№ 2993

„15“ 12 2014 წ.

შ.პ.ს. „ინდიკო“-ს დირექტორს  
ქალბატონ მანანა გვასალიას  
/მის: ქ. სენაკი, ღვინჯილის ქ. #3/

ქალბატონო მანანა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული თქვენი  
27. 25.11.14. წერილის პასუხად, რომელშიც ითხოვთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის  
ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი გზის, ქუთაისი-ხონი-სამტრედიის კმ35+00 - კმ40+000  
ინაკვეთზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხიანობის გამო, სამშენებლო  
ნარჩენების განსათავსებლად ტერიტორიის გამოყოფას გაცნობთ, რომ სამტრედიის  
მუნიციპალიტეტის გამგეობა თანახმაა, სამშენებლო ნარჩენები განათავსოთ ე.წ. „ბამგნარი“-ს  
ქვანში, ხორავას ქუჩაზე. აღნიშნული ტერიტორია თქვენი სამუშაო ობიექტიდან  
დაშორებულია 4,5 კმ-ის მანძილზე.

პატივისცემით,  
სამტრედიის მუნიციპალიტეტის  
გამგებელი:

ვალერიანე ფოცხვერია

დანართი 4 კარიერების ნებართვები

მოსხი - მუხეთი - ნაიქიძე

მოსხი - მუხეთი - ნაიქიძე



საქართველო

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

ნომერი 100271

ლიცენზიის უწყებებზე სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი

2008 წლის 17 თებერვალი

გამომცემი ს.ს. „სახელმწიფო“  
 იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება, უსსუდაც გაიცა ლიცენზია  
 მინაცემები მის შესახებ.

(საგარეო უწყებებთან მხედველობის უწყისი  
 სარგებლობის თანხები მიზანი

იღმარებაში 11.01.1996წ., № 56/5-6,

ს/ნ 239862038)

შე. ტყეხეთის ქვანახევარი, ხეობის მოპოვების მიწ  
სადაც ხ-ნაში, სოფ. ძველი სვანეთი ტერიტორია  
 წიაღის უბნის ადგილმდებარეობის ქალაქის, რაიონის, სოფლის დასახელება

და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას წიაღით სარგებლობაზე,  
 ლიცენზიის თანდართულ ტომოგრაფიულ გეგმაზე დატანილი NN (1106-  
4, 1, 2, 3, 4 და 5) (1106-1, 2, 3, 4, 5 და 6)

წერტილზე გამავალი სამთო/გეოლოგიური მინაკუთენის კონტურის შიგნით  
 ჩამოთვლილი წერტილების X, Y, H სუდა და H ქვედა კოორდინატების ცხრილი

წარმოდგენილია ლიცენზიის თანდართულ ტომოგრაფიულ გეგმაზე

სამთო/გეოლოგიური მინაკუთენის ფართობი გეგმაზე

სადა მოყოლილია უწყისი ტერიტორია

საქართველოს რეკონსტრუქციისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
 შპს „საქსტრასტ“  
 სსს რეგისტრაციის № 09 - 1687

სამთო/გეოლოგიური მინაკუთენის მოცულობა \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ კუბური მეტრია.  
(სიღრმეზე)

სამთო/გეოლოგიურ მინაკუთენში მოცემული

ქვიშა, ხეობა  
სასარგებლო წიაღისეულის, მინარქების ნაპოვების და სხვა

რაოდენობა/მოცულობა \_\_\_\_\_ კუბური მეტრია.  
(სიღრმეზე)

გადასახსნელი ქანების მოცულობა \_\_\_\_\_ კუბური მეტრია.

გადასახსნის კოეფიციენტი \_\_\_\_\_

წიაღით სარგებლობის ობიექტს საქსიოვეთის ვახეობის რაიონის  
ში მისი მუხაკუთენის სახელწოდებით საკუთრებაში აღებული

და ზვეთხევი ხეობის რაიონის  
ში მისი მუხაკუთენის სახელწოდებით საკუთრებაში აღებული

20.08 წლის 31.04 N 05-16/2406 შეთანხმების საფუძველზე

დაწესებული მიწის მინაკუთენი საერთო ფართობით 3.36 კა.  
ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობისთვის განსაზღვრული მიწის  
მინაკუთენი გამოსახულია ლიცენზიაზე დართულ R-38-61-A-8  
ნომერულ ტომორუკაზე/ტომორუკის ნაწილზე.

შემოსაზღვრულია N 1.2.3.4.5.6.7.8.9.10

წერტილებზე გაბაეალი კონტურით და მისი ფართობი შეადგენს 3.36 კა-ს.

ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყების ვადაა

2008 წლის 10 ნოემბერი

ლიცენზია მოქმედია ხეობა წლის განმავლობაში  
(სიღრმეზე)

წიაღით სარგებლობის სამუშაოთა წარმოებაში \_\_\_\_\_



პარტნიორები არიან \_\_\_\_\_

მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისთვის  
„ზვეთხევი ხეობის რაიონის სახეობის რაიონის მინაკუთენის მუხაკუთენის სახელწოდებით საკუთრებაში აღებული“

ა) წიაღით სარგებლობის პარამეტრები:

მინიმალური \_\_\_\_\_

მაქსიმალური \_\_\_\_\_

შუაღრმე ქვიშა, ხეობის ქვიშა მოპოვება - 1000 000

ბ) წარმოებული სასაქონლო პროდუქცია \_\_\_\_\_


გ) წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა:

მინიმალური \_\_\_\_\_

მაქსიმალური \_\_\_\_\_

შუაღრმე

ზვეთხევი საქსიოვეთის ვახეობის რაიონის  
ვახეობის რაიონის მინაკუთენის 2008 წლის 10  
ნოემბრის N 1-1/2500 მინარქის საფუძველზე







საქართველო

საქართველოს ბარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ბარემოს ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1001221

2013 წლის 28 ივნისი  
(ლიცენზიის უწყვეტივ სალოცებო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია სს „ბრემოპროლისი“-ს, ს/კ 239 862 038;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ეინაიზა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 06 ივნისის №61 ბრძანება;

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: სამტრედიის

მუნიციპალიტეტში, სოფ. მარანაქალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. სხენისწყალზე  
ქვიშა, სრუტის ბაშოვლინება;

K-38-61-B-ე K-38-61-რ-ა ნომენკლატურის ტოპოგრაფიკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);

მიწისა და საფარი მიწაქვეშის საფართო ფართობი - 5,96 ჰა (I უბანი - 5,1 ჰა;  
II უბანი - 0,86 ჰა).

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა:

ქვიშა, ხრეშის ჯამური მოპოვება - 178 800 კუბური მეტრი  
(I შბანგი - 153 000 კუბური მეტრი; II შბანგი - 25 800 კუბური მეტრი).

სალიცენზიო პირობები:

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი უფროსის 2013 წლის 06 ივნისის  
№61 ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 5 წელი, 06.06.2013 დას 07.06.2018 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“  
უფლებამოსილი წარმომადგენელი

  
(ხელმოწერა)  
ბ.ა.

გაფიცავი ლიცენზიის პირობებს და  
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ  
შესრულებაზე.

  
(ხელმოწერა)  
ბ.ა.

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო  
დამამზადებელი: შპს „ფორმა“  
საგნ-ს რეგისტრაციის №23-4000

დანართი (1 გვ)

სსიპ - გარემოს ეროვნული პარკის მართვის სამსახურის  
2013 წლის "ანგარიშის" შედეგების განხილვით



სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარანჭაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.  
ცხენისწყალზე ქვიშა, ხრეშის გამოვლინების ადგილმდებარეობის შესახებ  
X და Y კოორდინატები

№	X	Y
I უბანი		
1	276171	4673853
2	276321	4673886
3	276294	4673487
4	276213	4673561
5	276137	4673555
II უბანი		
1	276094	4669142
2	276213	4659315
3	276249	4659264
4	276149	4659154
WGS 1984		







საქართველო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საქართველოს იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1001693

2014 წლის „29“ ივლისი  
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გატემალია სს „არქიმედი“ -სს, ს/პ 239 862 038;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინააზა, მომაცემები მის შესახებ)

საფუძველი: \_\_\_\_\_

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 29 ივლისის №607 ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: სენაპის

მუნიციპალიტეტში, სოფ. კველი სენაპის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძვ. ტყეუბაზე „კველი სენაპის“ კვიშა, ხრუშის გამოვლინება;

K-38-61-A-6 ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);  
მიწისა და საბითუმონა მიწაქვეშის საბითუმო ფართობი - 3,43 ჰა (I შიპანი - 2,02 ჰა,  
II შიპანი - 1,41 ჰა).

მოსაკრებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: \_\_\_\_\_

„ქველი ხენაჲს“ კვიშა ხრემის (გამური მოკვება (კურიჲ ჰანაჲ)) - 102 900 კგ, ვერტი;

სალიცენზია პირობები: \_\_\_\_\_

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 29 ივლისის №607 ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 5 წელი, 29.07.2014 დან 30.07.2019 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“  
უფლებამოსილი წარმომადგენელი



გაფიცვანი ლიცენზიის პირობებს და  
ვინც პასუხისმგებლობას მათ  
შესრულებაზე.



დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო  
დამამზადებელი: შპს „ფორმა“  
სფს-ს რეგისტრაციის №23-4000



საქართველო  
 ეკონომიკური განვითარების სამინისტრო  
 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

ნომერი 100852

ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი

20.10 წლის 14 აპრილი

გაცემულია ს.ს. "ბიჭვინჭაძის" - შპს  
 თრიალეთის ან ზუსიკური პირის დასახელებით/სულაც გაიცა ლიცენზია,  
 მინაცემები მის შესახებ.

(ხვესციხეხევიას ხედავს ხაოხევი სასაქონლოში  
 სარეკლამოების ძირითადი მისანი  
 11.01.1996 წ., ს/ნ 2.39.862.038)

ფაქტობრივად „ზის“ ქვიშა, ხევის მოპოვების მიხედვით  
 ხაოხევი, სოფ. ზიას ტერიტორიაზე

წიაღის უბნის ადგილმდებარეობის ქალაქის, რაიონის, სოფლის დასახელება

და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას წიაღით სარგებლობაზე.

ლიცენზიის თანდართულ ტომოგრაფიულ გეგმაზე დატანილი NN

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19 და 20

წერტილზე გამავალი სამთო-გეოლოგიური მინაკუთენის კონტურის შიგნით,  
 ჩამოთვლილი წერტილების X,Y,H ზედა და H ქვედა კოორდინატების ცხრილი

წარმოდგენილია ლიცენზიის თანდართულ ტომოგრაფიულ გეგმაზე.

სამთო-გეოლოგიური მინაკუთენის ფართობი გეგმაზე

თბილისი თბილისი-სახელმწიფო უნივერსიტეტი მესხიანა ქვეტარია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო  
 შიშხიურაძის ქ. კაპაბლიძის ქ.  
 ს/ნ 6380166-50001, № 09 - 1687

სამთო/გეოლოგიური მინაკუთენის მოცულობა \_\_\_\_\_  
(ლიტრები) კუბური მეტრია.

სამთო/გეოლოგიურ მინაკუთენში მოქცეული  
ჟვიზა, ხეში  
სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა საგებობის და სხვა

რაოდენობა/მოცულობა \_\_\_\_\_  
(ლიტრები) კუბური მეტრია.

გადასახსნელი ქანების მოცულობა \_\_\_\_\_ კუბური მეტრია.

გადასახსნის კოეფიციენტი \_\_\_\_\_

წილით სარგებლობის ობიექტს საქართველოს ენერჯის რეგულაციის  
მიწის შესაკეთების ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

და ენერჯიზივი ხელისუფლების საშინაო სექტორში  
სხვა ტიპის დიფერენციალური განმარტებული უწყების დასახელება

2009 წლის 12.04 N 23-15/1419 შეთანხმების საფუძველზე

დაწესებული მიწის მინაკუთენი საერთო ფართობით 4,99 ჰა.

ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობისთვის განსაზღვრული მიწის მინაკუთენი გამოსახულია ლიცენზიაზე დართულ K-37-60-T-R და K-37-72-5-8 ნომერკლავრების ტომორუკაზე ტომორუკის ნაწილზე.

შემოსახლდურულია N 1,2,3,4...19 და 1

წერტილებზე გამაგალი კონტურით და მისი ფართობი შეადგენს 4,99 ჰა-ს.

ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყების ვადაა  
2010 წლის 12 აპრილი

ლიცენზია მოქმედია ხეთი წლის განმავლობაში  
(სივლითი) (სტამბა)

წილით სარგებლობის სამუშაოთა წარმოებაში \_\_\_\_\_

პარტნიორები არიან \_\_\_\_\_

მოსაკრებელი წილით სარგებლობისთვის  
„ენერჯიზივი ხელისუფლების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის-  
 ხეჯივების შესახებ“ საქართველოს ენერჯის რეგულაციის

ა) წილით სარგებლობის პარამეტრები:  
 მინიმალური \_\_\_\_\_  
 მაქსიმალური \_\_\_\_\_  
 შეუზღუდავი ჟვიზა, ხეშის ქანები მოპოვება - 300 000 მ<sup>3</sup>

ბ) წარმოებული სასაქონლო პროდუქცია \_\_\_\_\_

გ) წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა:  
 მინიმალური \_\_\_\_\_  
 მაქსიმალური \_\_\_\_\_  
 შეუზღუდავი  
ენერჯიზივი საქართველოს ენერჯიზივი  
 ენერჯიზივის მინისტრის 2010 წ. 12 აპრილის  
 N 1-1/505 შინაგარე საფუძველზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საქმიანობის უწყებამოსილი წარმომადგენელი  
 (სტამბა) \_\_\_\_\_

გაფორმებულია ლიცენზიის პირობებს და ვადას დასრულებულია მათ შესრულებას  
 (ლიცენზიის მიმღები პირის ხელმოწერა) \_\_\_\_\_

დანართი 5 ასფალტის ქარხნის ოპერირების ლიცენზია

ქსლი



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
მინისტრის



KA060126803376313

ბრძანება №119

ქ. თბილისი

18 / ივლისი / 2013 წ.

სს „არქეოპოლისი“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების  
ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გარემოზე  
ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის  
საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს სს „არქეოპოლისი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა - ასფალტის წარმოებაზე, სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძველ სენაკში;
2. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№34; 15.07.13წ) გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „არქეოპოლისი“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „არქეოპოლისი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი  
ბარათი; სს „არქეოპოლისი“-ს წერილი (№1908; 27.06.13წ) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№34; 15.07.13წ).

მინისტრი

*ბ. კოჭიაშვილი*

ხათუნა გოგალაძე





საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA



KA060170189183513

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. №6; ტელ: 2727200, 2727220, ფაქსი: 2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (+995 32) 2727200, 2727220, Fax: 2727237, www.moe.gov.ge

# 706

20 / ივნისი / 2013 წ.

შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის და თქვენი მიმდინარე წლის 31 მაისის №16 წერილის საფუძველზე, გიგზავნით:

1. „შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №ი-73; 19.06.2013წ. ბრძანების დამოწმებულ ასლს;
2. ეკოლოგიური ექსპერტიზის №25; 14.06.2013წ. დასკვნას.

დანართი: 7 გვ.

მინისტრის მოადგილე

ვახტანგ მჭედლიშვილი



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
მინისტრის



KA060127849501213

ბრძანება No-73

ქ. თბილისი

19 / ივნისი / 2013 წ.

შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაცეს შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. ინგირში ასფალტის წარმოებაზე;
2. ნებართვა გაცეს განუსაზღვრელი ვადით;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№25; 14.06.2013წ.) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს №16; 31.05.2013წ. წერილი; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №25; 14.06.2013წ.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

*ნ. შარაშიძე*

ნინო შარაშიძე





საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების  
დაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№25

14 ივნისი 2013წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ასფალტის წარმოება
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“, ზუგდიდის რაიონი, სოფ. ინგირი
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ზუგდიდის რაიონი, სოფ. ინგირი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 31.05.2013წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „გოკა“



ანგარიშის თანახმად საწარმოს უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს სამსხვრევი საამქრობიდან ნახმარი წყლების მიმღები და სალექარში დამატებითი გამტარი არხების მოწყობა, სალექარის გაფართოება, წყლის შეგროვების სისტემის გაუმჯობესება და ღარების კეთილმოწყობა, ასევე ნავთობპროდუქტების (საწვავის საცავი) და ტექნოლოგიური მოედნების უზრუნველყოფა საწრეტებით, წყალმიმღები და ნავთობპროდუქტების დამჭერი და გამწმენდი სისტემით.

ანგარიშის თანახმად საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევების წყაროებია: ასფალტის შემრევი დანადგარის საშრობი დოლი; ასფალტის შემრევი დანადგარის ინერტული მასალების მიმღები ბუნკერი; ასფალტის შემრევი დანადგარის ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორი; ასფალტის შემრევი დანადგარის მინერალური ფხვნილის სილოსი; ავტოციტერნიებიდან ბიტუმის გადმოსხმა; ბიტუმსაცავის რეზერვუარები; ბიტუმსახარში რეზერვუარები; სამსხვრევე-დამხარისხებელი საამქრო; ინერტული-მასალების საწყობი; საწვავის საცავი; საქვაბე.

წარმოდგენილია მაგნე ნივთიერებების გაფრქვევების ანგარიში თოთოეული წყაროდან. ანგარიშის თანახმად მტვერდამჭერი დანადგარის პარამეტრებია: ტიპი E6 A-5-S, 4 ციკლუნაინ ბატარეა. აირმტვერდამჭერი სისტემის საერთო საშუალო ეფექტურობა 95 %.

საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მაგნე ნივთიერებები: აზოტის ოქსიდები, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, არაორგანული მტვერი ( $SiO_2=70-20\%$  და  $SiO_2>20\%$ ), ნახშირწყალბადები (C12-C19).

მაგნე ნივთიერებათა გაზნვის ანგარიშმა აჩვენა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მაგნე ნივთიერების კონცენტრაცია (და არც ჯამური ზემოქმედების მქონე ნივთიერებების კონცენტრაცია) არ აღემატება ნორმით დადგენილ მის დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (140 მ), ამიტომ მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს როგორც საყოფაცხოვრებო ასევე სამრეწველო, მათ შორის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა მომსახურე პერსონალის რაოდენობაზე გათვლით შეადგენს 16,06 მ<sup>3</sup>/წელიწადში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერებში და შემდგომ გაიტანება სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

ასფალტის დამზადებასთან დაკავშირებული საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული ნარჩენების სახეებს მიეკუთვნება ასფალტის დამზადების ტექნოლოგიური კვანძების გაწმენდისას მიღებული ნარჩენები, რომელიც გროვდება და შემდგომ 100%-ით ბრუნდება საწარმოო პროცესში.

საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებია: ძრავის ზეთები წელიწადში 50.0 ლიტრამდე, ზეთის ფილტრები წელიწადში 4-8 ერთეული, ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები 4 ერთეული, ნავთობპროდუქტებით დაზინძურებული ნარჩენები-ჩვრები, და სხვა. ანგარიშის თანახმად ნარჩენების შესანახად საწარმოში უნდა გამოიყოს საკმარისად დაცული, ბეტონის საფარიანი შენობა.

ანგარიშში წარმოდგენილია შესაძლო ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება. ცხრილის სახითაა წარმოდგენილი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების და თავიდან აცილების ღონისძიებათა გეგმა.

ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმების ზოგადი პრინციპები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

### III. პირობები

შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“ ვალდებულია უზრუნველყოს:

1. საქმიანობის განხორციელება გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის და დასახული ღონისძიებების შესაბამისად;
2. საქმიანობის განხორციელება გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის პრინციპების შესაბამისად;
3. ტექნოლოგიური მოედნის, ნავთობპროდუქტების განლაგების ტერიტორიის მყარი საფარით მოწყობა ოთხი თვის ვადაში;
4. საწარმოო ჩამდინარე წყლების სალექარის გაფართოება, სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემის და ნავთობპროდუქტების გაშწმენდი კომპაქტური დანადგარის მოწყობა ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპიალური სქემის შესაბამისად ექვსი თვის ვადაში;
5. ტერიტორიის პერიმეტრის და საწარმოში მისასვლელი გზისპირების გამწვანება ერთი წლის ვადაში;
6. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გარემოსდაცვითი მონიტორინგის კონკრეტული გეგმის წარმოდგენა სამი თვის ვადაში;
7. საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა, დროებით უსაფრთხოდ განთავსება და შემდგომი მართვის (გადამუშავება, გაუვნებლობა ან განთავსება) მიზნით სათანადო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე გადაცემა;
8. „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.